ამბები.GE
საინფორმაციო პორტალი

დევიდ ლინჩი ქართულ-ამერიკული ფილმის პროდიუსერი იქნება?

17:57 / 27-03-2019

არსებული ინფორმაციით, ლეგენდარული ამერიკელი კინორეჟისორის დევიდ ლინჩის კავკასიის წარმომადგენლობა იღებს ფილმს, რომლის პროდიუსერიც დევიდ ლინჩი იქნება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ჰოლივუდისა და ევროპული კინოს ვარსკვლავები. ფილმის რეჟისორი კი ლინჩის ფონდის პრეზიდენტი, რეჟისორი გიგა აგლაძე იქნება.

აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად დევიდ ლინჩის ფონდსა და BA პროდაქშენს დავუკავშირდით, სადაც დაადასტურეს, რომ ფილმის გადაღება ნამდვილად იგეგმება, თუმცა დამატებითი დეტალების შესახებ საუბარს თავს არიდებენ.

BA პროდაქშენის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თეა აგლაძის თქმით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი ოფიციალურ განცხადებას გაავრცელებს.

აგლაძის ინფორმაციითვე, აღნიშნულ საკითხზე გავრცელებული სხვა ინფორმაცია არასწორია და მხოლოდ ფონდის და BA პროდაქშენის მიერ გავრცელდება ფილმის შესახებ რეალური დეტალები.

შეგახსენებთ, "დევიდ ლინჩის ფონდის" წარმომადგენლობა საქართველოში 2017 წელს დაარსდა. ლეგენდარული რეჟისორი 2017 წლის ნოემბერში საქართველოში იმყოფებოდა. რეჟისორი, პროდიუსერი, ვიზუალური არტისტი, მუსიკოსი და მსახიობი, ცნობილია სიურეალისტური ფილმებით. მას The Guardian-მა "საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რეჟისორი" უწოდა.

რაც შეეხება "დევიდ ლინჩის ფონდის" საქმიანობას, მას რამდენიმე მიმართულება აქვს: გენდერული თანასწორობის საკითხები, ბავშვთა დახმარება, ვეტერანების რეაბილიტაცია და სწავლება. ფონდს გადაწყვეტილი აქვს, გახსნას უნივერსიტეტი, სადაც კინომწარმოებლებს საშუალება ექნებათ, შეხვდნენ მსოფლიოო კინოს ვარსკვლავებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ. "ლინჩის ფონდში" უამრავი კინოვარსკვლავია გაერთიანებული.

WILL DAVID LYNCH BE A PRODUCER OF GEORGIAN-AMERICAN FILM?

According to the given information the Caucasus Representation of the legendary American film director David Lynch is shooting a film and its producer will be David Lynch. The cast will include the famous Hollywood and European film stars. The film director will be the president of David Lynch Foundation Caucasus Giga Agladze.

In order to verify the present information we decided to apply to David Lynch Foundation and BA Production, where it has been confirmed that the film shooting is really planned but they are still abstaining from sharing the additional information.

According to the head of the Department of Communications with press, Tea Agladze, after specific period the shooting creative teamwork will make an official announcement.

According to Agladze any other information related to this issue is incorrect and any details shared by the Foundation and BA Production will be real.